სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

13 ივლისი 2026

N 21/10136

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიას

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

ასლი: შპს "ხანისწყალჰესს"

ელფოსტა: medgarcorresp@yahoo.com

გაცნობებთ, რომ 2026 წლის 1 ივლისს, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" შესაბამისად, დაგეგმილ საქმიანობაზე (ბაღდათის მუნიციპალიტეტში, მდინარე ხანისწყალზე 2,78 მვტ „იმერჰესის" მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი) სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს "ხანისწყალჰესმა" სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინა სკოპინგის დასკვნის მიღების თაობაზე განცხადება და სკოპინგის ანგარიში. განცხადების შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე - www.ei.gov.ge. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე https://ei.gov.ge/ka/info/9089a0e8-142b-4f64-a882-70faf1908bd8 .

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის განცხადებასთან და თანდართულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარმოადგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში **2026 წლის 29 ივლისის ჩათვლით,** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ.ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს).

დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული პროექტის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართება: **2026 წლის 23 ივლისს, 13:00 საათზე, ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ხანის საჯარო სკოლის შენობაში.** სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად ასევე განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.

,,საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანების თანახმად, გზშ-ისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობაზე სკოპინგის ანგარიშისა და გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვას უნდა ესწრებოდეს საქმიანობის განმახორციელებელი ან/და კონსულტანტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს წარმომადგენლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება, როგორც თქვენი მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე, ოფიციალურ ვებგვერდსა და Facebook-ის გვერდზე, აგრეთვე საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს **(სოფ. ხანი; სოფ. კაკასხიდი)** ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე (მაგ: ტრანსპორტის

გაჩერება, სკოლა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სავაჭრო ცენტრი, ფოსტის ოფისი ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილი) და განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის გამოგზავნა ფოტომასალის სახით.

დანართის სახით გიგზავნით **შპს "ხანისწყალჰესის"** ზემოაღნიშნულ განცხადებას, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად და ინფორმაციას საჯარო განხილვის შესახებ.

საჯარო განხილვასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს (დ. აღმაშენებლის გამზ. 150, 0112 თბილისი, ელფოსტა: eia@mepa.gov.ge, ტელ: +995 32 2439503/+995 32 2439510).

დანართები:

- საჯარო განხილვის შესახებ განცხადება - 2 გვერდი
- პროექტის დოკუმენტაცია - 2 ფაილი

პატივისცემით,

არჩილ ადამია

სააგენტოს უფროსის მოადგილე

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/10136-21-2-202607131751

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE